ხელშეკრულება № 10/115
მომსახურების შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი **18 ოქტომბერი 2017 წელი**

ერთის მხრივ, სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ს/ნ: 204861970), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ქეთევან ლაკირბაიას სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „თეგეტა მოტორსი" (ს/ნ: 202177205), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის სახით, (შემდგომში ,,მიმწოდებელი") ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების გაწევა (CPVკოდი 50110000) ხელშეკრულების პირობების და ფასების ცხრილის (დანართი #1) შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.
1.2. დაფინანსების წყარო - 2017 წლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **190 (ასოთხმოცდაათი) ლარს.**
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.
3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მომსახურების გაწევისა და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 და 5.3 პუნქტებში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის შესყიდვების მთავარი სპეციალისტი დავითი დვალი.
4.2 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია – ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ 5.
5.2. მომსახურების გაწევა განხორციელდება ეტაპობრივად მხარეთა მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.
5.3. მომსახურების მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმდევი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით (წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები). აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2017 წლის 25 დეკემბრამდე.**

12. რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ს/ნ: 204861970

ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის №3/5

სახელმწიფო ხაზინა,

კოდი – TRESGE22;

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

_____ ქეთევან ლაკირბაია

ბ.ა.

„მიმწოდებელი“

შპს „თეგეტა მოტორსი“

ს/ნ: 202177205

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12კმ. №5

ს.ს „თიბისი ბანკი“; ბ/კ TBCBGE22

ა/ა: GE80TB0600000024467853

გენერალური დირექტორი

_____ თემურ ჯოხოძე

ბ.ა.

ფასების ცხრილი

	მომსახურების დასახელება	რაოდ.	ფასი	თანხა
3	საბურავის მ/დ დ/ა ბალანსი R15	4	10	40
	საბურავის მ/დ დ/ა ბალანსი R16	6	25	150
		ჯამი		190

შემსყიდველი:
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქეთევან ლაკირბაია
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

მიმწოდებელი:
შპს „ტეგეტა მოტორსი"-ს

თემურ კოხოძე
გენერალური დირექტორი